

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში
მანქანის ქუჩაზე, შიოშვილის სახლის მე-
მოდ, სახლი № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლი-
ოთეკაში.
გაზეთდება მიწება ქართულსა და რუსულს
ენაზედ.




«ივერიის» ფასი

ერთი წლისა, გაეზაგებოთ გ. გ. გ. 7მ. —
სახვების წლ.სა 3მ. 50კ.
თითო ნომერი 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-
რებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გასული
წერილებს.

ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო
გამოდის ხუთშაბათობით



ადვილად გასაკების მიზეზისა გამო
„ობსორის“ შესახები წერილი არ დაიბეჭდა
ამ ნუმერში და საკულაოდაც არ დაიბეჭდება
იმ გარემოების გამო, რომელიც ჩვენ ხელთ
არ არის.

საძიებელი I. საქართველოს მატინაჟი: («ივერიის» კორ-
რესპონდენტები). — თელავი, კახეთი, — II. საზოგადო-
კო მიმოხილვა, გურჯისტან. — III. ქართულის ვალობის ნო-
ტიზად გადაღება — IV. ზამთარი, ს. ბაგრატიონი — V. სა-
ანთოქლო, ისრაიელი და გურგაფიული გამოკვლევა. —
VI. ივერიისადმი წერილი. — VII. შეკლი მოსუცეულის
გამზისა (მედიცინა) — VIII. განცხადება.

საქართველოს მატინაჟი

(«ივერიის» კორრესპონდენცია)

თელავი. ძლიერ შეუდგა თელავის მმართველ-
ბა ქუჩების (დასწევვლა ღმერთმა, რა «ქუჩები» მედ-
ბა ენაზე, რადესაც აქ არ არის!) — ქუჩებისა ვი არა
ორდობების კეთებას. 8-ს თებერვალს შეუდგნენ ნა-
დიკრისკენ ოღონ-ჩოღონ ადმართის კეთებას, რად-
განაც გაზაფხული მოახლოვდა და აქაურს სასოგადო-

ებას — (უფრო ქალებს) უყვარს ნადიკრებზე სეინობა
«ივერიის» შემდეგ. ღმერთმა ინებოს, რომ თხამ მკელი
დაწიროს და ვეკა ქუჩ... (კიდევ ქუჩები!) ორდო-
ბები გასწორონ. ხუთს ეჭვს ფანანს რომ მოუშ-
ტონ კიდევ 20-30 (თუმცა ესეც არ ეყოფა თელავის
განათებას) სხვაც და სხვაც ბნელს და ცხვირ-ზინ და-
მამტრეველს ორდობებს — ხომ «უჩადა!» — უნდა
უთხრათ თელავის მ... ..

იწებს და იწებს ხორცის ფასი შევით!
ქვლან თელავში ხორცი ცხვრასა და ძროხისა ორი
შაურია! ვეკლანი ამბობენ, რომ ამ გვარ ხორცის
სიძვირეს არ შევსწრებივართო. ერთი ღორის
ხორცია ტაქციის ძალით გინვანქა ერთ შაურათ, მაგ-
რამ ამასაც შაურ-ნახევრად ჭედიან ჩვენი ყასბები.
ამის დასამტრეებლად მოვიყვან ერთს მაგალითს,
თუმცა ათასია. ამ ერთს კვირაში ერთი აქაურის
სასწავლებლის მასწავლებელი მივიდა თურმე ყასბთან
და დააფასებინა ღორის ხორცი. სამ აბაზად დაუფა-
სეს ღირება. აწონინა რამდენიც უნდოდა და ხურდა
გამართვა. ამ დროს მოვიდა «ყანდარში» და ჭეითხ
მასწავლებელს: «როგორ იყიდეთ ხორციო? მასწავლე-
ბელმა რასაკვირველია უნდასუხა: სამი აბაზიო. მიჭვარდა
«ყანდარში» ყასბის და ორიოდუ კარგები წაუთაქა და
წაართვა მეტი ფული, არამც თუ მასწავლებლისა, არა-
მედ სხვაც «საწყალის» ხალხისადაც. ამ გვარი სწყენა თე-
ლავში იაფთა. — ერთი რამაც გაიფადა თელავში, მაგ-
რამ «იმაზედა» «იქნება» შემდეგში მოველანარაკო «ივე-
რიის» მკითხველებს... ..

ბახეში. ახალი ამბავი ანაფერია კახეთში, გარდა იმისა, რომ უკანასკნელი დროებითი მილიციაც დაიშალა. ამ ჟამად ცოცხად თუ ბევრად დივა. ავად-მყოფობა ანაფერია... ჭკო გიდი! გატყუილა, ვერ დასწინობს სოფ. საბურის შკოლის მასწავლებელი თელავში! მე მეგონა უფ. ყიასოვი მხოლოდ «უხეიროს» მეთქი, და «ზარმაცინი» არ გამოდგა! 7-ს თებერვალს, სამშაბადს, აქვს ანაფერიად დასწინობდა თელავის ბაზარში, რომ კაცს ეგონებოდა ეს კაცი დუქნების ქირით ცხოვრობს და ქირების მოსაკრეფად გარჯილან! ერთი მიბძანეთ: სწავლის დროს რა თელავში სეარნობისა სცხელა უფ. ყიასოვს?! ახლა, მუქთანად რომ გლეხების ფულებსა სჭამს — რა ზასუსს აძლეფს, ან გლეხებს და ან თავის მასწავლებლებს!?

ქართველი.

ქართულის ბალოზის ნოტივად გადაღება

ქართული გალობის ნოტივებზე გადაღება ფრიალსასამოცონას და თითქმის ებოქად ჩათვლება ჩვენში. მით უფრო სასინამოცონას, რომ ამ ჟამად მხოლოდ 10—15 გვამი თუ მოიპოვება ჩვენს სამშობლოში, რომ «ნამდვილი» გალობა იცოდეს. ჩვენსა სამწუხაროდ აქამომდე ანაგინ გამოჩნდა ჯერ, რომ ეს კეთილი საქმე შეესრულებინა. მე ძალიან გამიხარდა, რომ წავიკითხე ერთს «დროების» ნომერში, რომ «გადაიღეს და სიონშიც იგალობეს და კარგადაც გამოვიდა». ღმერთმა ინებოს, რომ ეს მართალი იყოს! მაგრამ, დაღასჭრა ღმერთმა, როგორღაც ეჭვი მჭებს ამ ამბის სიმართლეში.

აი, ბატონებო, მოგახსენოთ რამ დამიბადა ეს ეჭვი ამ საქმის შესახებ. მე მითხრეს, თუ ჭორონი არ არის, რომ ქართული გალობა ვითომ უფ. მ. მ—ის გადაღოს ნოტივზე: თუ ეს მართალია—ენლავე იმედ-განწყვეტილი ვიტყვი, რომ ის გალობა «გადამხინჯებულია» და არა «ნამდვილი» მ. კარბელაგის ქართული გალობა. მე ვამბობ «გადამხინჯებულია» მეთქი, ამიტომ, რომ მე თვითონ მიჩვენა თავისი შრომა უფ. მ. მ—ის ჩემს თბილისში მყოფობის დროს. ერთხელ, ბატონო, მე დავესწარ ქართულის გალობის ბაკვეთილზე (რუსულს გალობას ასწავლიდა და ქარ-

თულიც ჩაბატონეს, თუძცა უფ. მ. მ—ის იმდენივე იცის ქართული გალობა, რამდენიც მე ჩინური). უფ. მასწავლებელს ეკავა ხელში თავის ნაშრომი და იმით აგალობებდა შეგირდებს. წარმოიდგინეთ ჩემი გავვირკვება, როდესაც გავიგე კილო გალობის!.. ისეთ ნაირად იყო გადამხინჯებული ზატყვეტილს მ. გ. კარბელაგის მშეგნიერი კილო, რომ სრულებით ვერ ვიცან კილო კარბელაგის გალობის! როდესაც დაგხედეთ თვით შრომას—თქვენს მტკენს ეგეს ელდა, როგორც მე მეტა! ოთხს ხმაზე არ იყო თურმე გადაკეთებული ქართული მ. გ. კარბელაგის გალობა! (სამს ხმასაც არ დასჯებოდა კომპოზიტორნი!) როდესაც მე ვკითხე ამის (ოთხის ხმის) მიზეზი, მან თამამად მიზასუსხა: მე თვითონ გავამშეგნიე! ნუტავი საზოგადო კილო მინც გადაეღო, თორემ გამშეგნიებას ვინა ჩავის! იქნება სთქვას ვინმემ, რომ «ოთხ-ხმიანი გალობა უფრო კარგი არ არისო?» კარგი განლავთ, ბატონო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქართული ანც ეკლესიური გალობა და ანც ხალხური სიმღერა არ არის ოთხს ხმაზე სავალბული ანც იმერეთში და ანც ამერეთში. რამდენათაც მე მიოვალეებინა (მე ძალიან მოსიყვარული განლავანთ ქართულის გალობისაც და სიმღერისაც), ანსად ანც ერთსც გალობაში და ანც სიმღერაში ოთხ-ხმიანი გალობა და სიმღერა არ შექვედრია. მე არ ვამბობ, რომ რაკი არ არის ანც შეიძლება ოთხ-ხმიანი ქართული სიმღერა ანუ გალობა მეთქი,—რატომ არა, მაგრამ თუ ახლანდელს ქართულს გალობას აწეობენ ნოტივზე—როგორიც არას ისე უნდა გადაიღოს და არა ჩირთი-ფირთებით გადაამხინჯოს. მართალია, შეიძლება (თუძცა მინცა და მინც განვიოთარებული არ იქნება) რომ კომპოზიტორმა ის გალობა, რომლის გადაღებაც ქსუსს, არ იცოდეს და გადაიღოს მხოლოდ რამოდენიმე «იმი» გალობაში განვიოთარებული განამების შემწეობით; მაგრამ ისეთს კომპოზიტორებს ვიროგორიც არის უფ. მ—ნი და მის შესავსნი არ შეუძლიანთ ეკ. საქმე იმაშია, რომ უფ. მ. ანც მუსიკის ტეორია (ურისოთაც არ შეიძლება გადაღება ნოტივზე გალობისა) აქვს გვარაინად შესწავლული და ქართული გალობა სომ, როგორც თვითონ აღიარებს, სრულებით არ იცის. ყველა დამეთანხმება, რომ «დო, რე, მი»-ს ცოდნა კიდევ არ წინშავს მუსიკის

ტკორიის ცოდნის. ახლა გითხრა, ჩემო მკითხველო, რათა ჩუბდობ ამდენს. თუ ცალკობა გადაძახინჯდა ცა-
დადებამა და ამ გვარად დაუწვეს სწავლა მოსწავლეებს
— ქართული ცალკობა სრულიად დაიკარგება. «სიონში
იკვლობეს და ჯარგად გამოვიდნა!» შეიძლება. მსმენელს
იქნება იმიტომ მოეწონა (იქნება მარტო თვითონ შემდეგ
ნელს მოეწონა ვინ იცის!), რომ ხმები ცოცხად თუ ბევრად
შეწვობილნი იყვნენ, ანუ უკეთ ვსთქვათ: «ტურციაზე
იყო ხმები დაწვებული. ან კიდევ: რასაკვირველია
არის ხმის ცალკობა უფრო სსსამოკონო გასაგონია,
ვიდრე ერთისა, როგორც ცალკობენ ჩვენს ეკლესიებ-
ში. აბა თვითონ მ. კარბელაძეს გააგონეთ ახლად გა-
დადებული ნოტებზე ცალკობა, გნახათ იცნობს თავის
საკუთარს კილას თუ არა. უკანასკნელი სიტყვა ეს
არის ჩემი: ქართულის ცალკობის ნოტებზე გადადებს
ან არის ისე ადვილი, როგორც ჭვინათ ზოგიერ-
თებს; იქნება იმას დეკნანობს ზოგი «ნრუ კომპოზი-
ტორი», რომ ეგები არმორი თუმანი ზრემია მივი-
დოვო, ოღონდ კი დაგებლანო რამეო; მაგრამ ქართუ-
ლები კიდევ ისე ან დამცირებულან, რომ ტყუილ-
ურბალოდ გადაყარონ ფულები, თან და თან ჭკუასა
სწავლობენ..... დმერთმა ინებოს, რომ ამ ერთს წე-
ლიწადს «ქართული» ცალკობა ცალკობად გვენახოს ნო-
ტებზედ გადადებული!...

ქართველი

ზ ა მ თ ა რ ი.

მოვიდა ქაჯი ზამთარი და ყველა მოაბუსა, ეს ბე-
რუნან ამისთანა სსსათასა, იმისთანა სუსსიანი, შემე-
ვიწროებული და შემწუხებული, რომ ყველას ეჯავრება
იმის მოსულა. ჯერ, ბატონო, იანხლად, იებუდა—იქრო-
ლა და გაბრაზიანდა; მეტიან-მეტის ბრაზებით ჭდარ-
დედმართა ჯერ და მემკე სულ გაუთოტრდა თმა—მაშინ
დამშვიდდა და ახლა არის თავისთვის, ჭარბათ გაწვეტი-
ლი. სსუელი ისე ცივი აქვს, რომ იმასთან ახლო ყოფ-
ნა და მიკარება ყველა სულდგომულს ეჯავრება. მაგრამ ამ
ბებრუნანსაც სტოდნია მდაბლის და მაღლის გარჩევა:
მდაბლის ჩაკვრა და მაღლის კრძალვა ანუ რიდი....

სასოცადოთ სულ ყველანი ერთ ნაირად არ გრძნო-
ბენ იმის ახლო ყოფნას და იმის გაუტანელ სუსსს. აბა

ჩვენ—ონოფრეს, ამირინდოებს, ივან ნიკიფორიებს და
ივან თეოდორიებს რას ავბებს ზამთრის სიტყვა, თუ
დმერთი გწამსთ?.. იმათ შელაგებული აქვთ ყოველი სი-
კეთე: ზური სავსეა ამბებში, ღვინო მარნებში და შემს
საშეშეებში.

ხომ მოგხსენებთ ოღონდ იმათ ზური და ღვინო
საკმაო ჭქონდესთ, ქვეყანა თქნებზეც ჭკიდათ. როცა
იმათ ეს წყალობანი უხვად ექმნებათ, დაწხებათ მხოლოდ
ეს ერთი საქმე: ქეიფი და ტხტებზე გოჯვა. სსსამოკონო
სსსასავია იმათი გოჯვა, მაგრამ უსამოკონოთა იმათი ქეი-
ფი და ღოკების გატარება.

რომ დასხდებიან სუფრაზე, იმავე წამს განდებს
დაუწიწარი—«ქროვი მიყვარს ჭკრივი-მე, ჭკრივის სუ-
ლის ჭირიმი.» პირველ სუფრაზე, რასაკვირველია, ამ
სიტყვის გამოჭსთქენ რიგინად მოქეიფების ენები;
შუასე ქრება ზოგიერთი ასოები და მარცვლები—და
გამოდის: «ქივი მიყვარს, ქივი მე, ქივის ჭირიმი.» ბოლოს
სულ იცვლებიან ეს ფრაზები და ღვინის სუნით შერეუ-
ლი გამოდის—«ქვემ გაიჭიმი...»



ვაჭრებმა სოფლებს დაანებეს თავი—გლეხების სის-
ხლი და ტვინი გამოჭწოკვს, ახლა სხედან მინიან დუქ-
ნებში და მოელის გლეხების დაბრაზობას (ვიზიტებს)
რომ მოძავალ კალასათვის დამზადის საქონლის შეპარ-
ვით ვალები განუხლან.

ბუკრის ასლგანდა გლეხის ვაჟის და ქალის ბედის
წერა სწედება ზამთარში და ერთმანეთს უკავშირდებიან
და რასაკვირველია ამ დაკავშირების დროს ე. ი. ქორწი-
ლების ჟამს ამ ივან კალიტებსაც მეკიზიტები ეძებებთ.

მაშა ღვდელიც ზის თბილ ოთახში, კმაყოფილი
თავის ბედისა, ხან ემუხაიებებს თავის თეოდორის, ხანაც
ესუირება თავის თვალის ჩინს და მოელის—როდის შე-
ძალდება ვარებს ვინმე—რომ მოუტანოს ან სწირავი, ან
მკვდრის ამბავი. იმას უწევთ თანხაზე მრავალი სასუფლე-
რო წიგნები. პირველ შესვლისავე კაცს ეგონება: სწო-
რეთ, სსსუფლელებში პირველი ალაგი ამას ეკუთვნისო.
სუძრობაა ამდენი წმიდა წიგნების გადავითხვა... მაგრამ
საუბედუროთ რაც პირია, სარჩული ის არ გამოდის! იმ
წიგნებზე სქლათ დამჯდარ მტკერის ჩადრზე აწერია:
«მაშა მღვდლის ცოდვას ნუ იღებთ—ის ჩვენთვის თავს არ
იწუხებს...»

ავაგი ავაგოვლები—მწერლები ვინაა? ნებისმიერ დილა-
 ზე მიზნის სსსმძლავრებისკენ მოხუცულები. ზოგს
 ზალტო ან სსსია, ზოგს ვალტოები ან აცვია ფეხზე და
 ზოგს იწმება... ისიც... ანა აქვთ... სხედან სცრა-
 დაკები დილით სავამომდისინ და სწერენ, და რაღა სა-
 წერი ან ექმნებათ, ხან ქალაქებს ღიჟენ და ხან ვალ-
 მის ნათლებსა. ზოგს უფლი მანც იყოს, მამინ ბუხებით
 მანც გაძლებიან... აკრ გაიღო ვარები, სსსმძლავრსი
 უოკელი შეტოვდა, შეერთა და ჩამოვარდა სინემე, გე-
 გონება ანგელოზმა ჩამოიარა. შემოვიდა ბობოლა სა-
 მურის ქურქში განკეული. ზოგმა ქურქი ჩამოართვა,
 ზოგმა ხელის ჯოხი და გურთხუელი შლიაზა. ეგელს
 უნდოდა რითიმე აამოს თავის ბობოლას, მაგრამ შენ ან
 მომიკვდე, ბობოლა ისე წარბ შეკრული ტრიალებს, რომ
 იმისი სხე ბუქიან აბუფს მთას წარმოადგენს. ბობოლა
 დაჯდა, უკაცრავად, დაბმინდა, და იმ თავის მალა და-
 გილიდამ გადმოჭყურებს თავის ქვეშევრდომებს—ვინაა-
 ნებს, როგორც ჭარი; ზოგს უფავრდება, ზოგს ტუქ-
 სავს, ზოგს ადგილიდამ გამოვლენას ემუქრება და ზოგს
 კიდევ ზედან ან შეხედავს, რადგან ახალ-მოსულია და
 ჯერ საბეჭდის განსაზღვრაც ან ახარის სწავლს. მოაწერა
 ხელი. გაათავა სამსახური. რადგან წარუხრხულა თავის
 მდივანს (სეკრეტარს) უურში და ჰაიდა, გაგარდა გარეთ
 და გასწია შინისკენ.—შინ იმას მოკლის: მშვენიერი სა-
 დილი, სადილის შემდეგ ყავა, ყავის შემდეგ ძალი, ძი-
 ლის შემდეგ დალოცვილი ჩაი და დამე მწვანე სტოლა და
 ქალებში ტყევა...



განის გულა ასპილის დაფა. რასაც ისურვებ, იმას
 დასწერ იმზე—თუ გინდა ავი თუ გინდა ვარგი—და რომ გინ-
 დოდეს, მალე წაჭელი კიდევ. მაგრამ თუ გულსებზე მონ-
 დომე ღაპარაკი და დასწერა რომ გულს დაფაზე, მა-
 შან, ჩემო მკითხველო, უნდა ახმარო ღურსმანი, რომ
 მაგან გაფხვინოს და კვლი დაჩნდეს და წაუშლელად
 დაჩხეს, რადგან იმათი მდგომარეობა ამ ნაირია!

ჩემთვის, რომ ეკითხნათ, «გულსი რა არის?» მე
 ჩემს ცნობის მოყვარესეკ ვუპასუხებდი: გულსი არის უე-
 ნო ცხვარი, რომლით სარგებლობენ ორფეხა მტკენი
 ქვევითნი და ზვეითნი. ქვევითნი რძეს სწველენ და მით
 მურალ მურელს ასიამოვნებენ; ზვეითნი—მატყულს ზარსკენ
 და ითბობენ შესაფურთხავ—უღიწს ტანს. მაგრამ რა

ჩვენი საქმეა, მკითხველო, რაც გინდა იყოს, მომუკეო,
 შევიდეთ გულსის სახლში, ვახლოთ იქ რა ნაირი გავლენა და
 მეფობა აქვს ჩვენს ბებრუცანა ზამთარს. ხედავ რომდენი
 ვარი და ფანჯრები აქვს იმის სახლს? ზამთარს რა-
 მელს ჭურჭურჭრანდაძაც უნდა, თავის სუსსს შემოვინა-
 ვის. აკრ ზის იმისი ცოლი კეკას წინ. კეკასოდ ნუნ-
 ხლი მდივს-მდივს ბუფტავს. ერთი იმის ტანს შესედეო
 რითია შემოსილი? მკითხველო, სანამდეკოს მოგცემ თუ
 მეტყეო, იმისი ვაზა რა ფერია?.. მოხუცულა სწავლი
 კეკასთან და მუძე მწოვარა უმწვილი, ძონბუში გასკეუ-
 ლი ვალთაში უწევს. რა ნაირ სავრავს სანახავობს წარ-
 მოადგენს იმისი ექვსი წლის ვაჟი!! მუხლებამდისინ ტიტ-
 კელა, ფეხები სიცივისგან გასიებული, თავ ღია, პიჩი-
 სხე გამურული. ზის და წუწუნით დედას აწუხებს: დე-
 და, ზური მინდა და მალდალე ახელებს ქინდარსე მალ-
 და, ვარცლისკენ, სავრ გღია ორი ხმელი მჭადი, რომე-
 ლიც შეადგენს იმათ ვახშმს. დედა, რასაკვარველია, უარს
 ეუბნება, იცის, ის მჭადი რომ მისცეს, ქმარი მშვი-
 რი დაურჩება. კერის მუარე გვერდზე ზის სალდათი და
 წამ და უწუმი იღუეება და აბოლებს «მასოვკანის» მოკ-
 ლე ჩიბუსს და კომლს გზავნის კეკასკენ. გეგონება ესენ
 გულში ამბობს: განა ამდენი შეწუხება, სილატაკე ან
 ევოფთ ამათ, რომ მეც ან შევწუხო ჩემი მასოვკის
 სუნითაო. კეკა თავის დღეში, როგორც იმათი ცოდვი-
 ლი მურელი, მადიანად ან გამძლავრ—ან ანთებულა.
 ტარშეო სულ ტუვა, მაგრამ ეგ ამის კეკისათვის ან
 არის—ხურო საზარასია.

აკრ შემოადო ვარი გულსმა. იმის ტანი რუსისა,
 ფეხები და თავი ქართულია. იმის ტანს ან მიჭკარე-
 ბია ვარცა ხანია ქართული ჩოხა და ახალუხი—ის არის
 შემოსილი რუსულის ფარჯით. ხედავთ, ჩვენ ბებრუ-
 ცას რა ნაირად შეუძია იმის წვერ-უფავა. იმისთანა
 მშვენიერი უნულებს «ფიგურებია» გამოყვანილი გლე-
 ხის ნინიკას უფავებზე, ახალი მოდის ქალმა რა
 დაინახოს, ინატრებს: ჩეტა, ქა, მაგისთანა საუერები
 მქონდესო.

ცოლმა და შვილმა შემოსულისავე უმაღ შესედას
 გულსის ხელებს—ხომ არაფერი მოაქვსო; რაღა დარ-
 წმუნდნენ, რომ არაფერი მოუტანია, მაშინ სწველები
 უფრო დადარდნენ.

— მოიტა, დედა-გაცო, ვახშამი, არა გაქვს რა?—
 რა მოგიტანია, რომ რა მქონდეს—თქმით დედა-გაცმა
 მიუგდო წინ რამ სმელი მჭადი.

— ღვინოც უნდა იყოს ცოტა, დედა-გაცო, ისიც
 მოიტა. ღვინოც გაჩნდა იმათ ღარიბ სუფრასზე. რა
 რამ უნდა რომ დაცაღეს, შეჭეიფიანდნენ. ამ საბრძოლო-
 მაც იციან შესაქნისიანობა, თუ ვი ნუნუას ბედი ხელში
 ჩაუგდებს.

უგანჯად, ჩემო მოხუცრებულე მკითხველო, თავი
 შეგაწყინე. იქნება გლეხის ნახვაც გეჯავრებოდეს, არამც
 თუ მისი ამბავი, მაგრამ, რა გქნა. როგორც არის მიჰაი-
 რათე. ერთს მოთხრობასაც გეცევი და მშვიდობით! ახლა,
 ჩემო კარგო, ახალი ამბის წერა ძნელია და თითქმის
 შეუძლებელი. ახალი ამბავი რომ დასწერო მართალი უნდა
 დასწერო. ისიც სომ იცი, მართალის თქმისათვის ენ-ს
 მოგჭრან. ტუფილის თქმაც უკველ გაცს არ ესინიღისება.
 მას სჯობია გიდეგ მე და შენ შევექცეთ მოთხრობებით.
 მანაც ზამთრის დამე გქვია; საქმეც, მე ვიცი, არ
 გექმნება. მას უფრო დამიგდე.

არის და არ არის—არის ცნება მთის იქით ერთი დაზა,
 შეიძლება ზატარა ქალაქიც იყოს. იმ დაზაში ცნობრობეს
 ბევრი კარები, მაგრამ უფრო უბევრესი ხალხი
 იქ ცნობრობს ღარიბათ, მაგრამ ბედნიერთ. მდებარეობა,
 ჭკა ჩინებულა—სწორედ მაჭმადის სასუფეოლს წარმო-
 დგენს. იქ არის გიდეგ კლდეზე ატრუსული ძალი დაკბი-
 ლული ძველი ციხე. სიძველისგან გეგონება იღრიჯება,
 და მდღეიდან დასტინის იქაურ ადამიანებსაც (სასაცილო
 რა აქვთ?). იმ დაზაში არის მომჩიგებელი სასამართლო
 და მოსამართლეც. იმ სასამართლოში იმჭება მრავალნი
 საქმენი—სიძარტლით, თუ უმართლოდ—ვინა ჭკითხას?
 გიდეგ, რომ ჭკითხოთ, ზასუხას მომცემი არაუნ იქმნე-
 ბა...

ახიბებული ხასიათისა ეს მომჩიგებელი მოსამართ-
 ლე. დამე არ იციან იქაურებმა რას აკეთებს, რომ დღი-
 სით ძლივს მოხმანდება საათის თორმეტზედ—სასამართ-
 ლოში. მოვა თუ არა, მაშინვე მოხმობს დაბარებულ
 გვამთა. უბანებს კარების ჩაკეტვას და კარებზე დაყუ-
 ნებს ზველე მ. სტორაჟს, რომ არც შეიგნადამ კარედ
 გამოუშვას ვინმე, არც გაჭედამ—შიგნით შეუშვას.

ვინც ბედნიერი და უტოდველია, შესწრებს შესვლას
 და სტებებს იმის ზირის სახისა, შავის წვერის, მდაბლის
 ტანის ჭვრეტით, ვინც არა და-ღარჩება გარეთ და იქმნე-
 ბა ვასწმედელში, სანამ არ გაიწმინდებოდეს ცოდვების
 სინანულით და ჭარბის გადახდით დაკვიანებისათვის.—
 რამდენს სოფელელ ქალს თუ კაცს, შორით მოსულებს—
 იმ გასაწმედელში ცოდვები შეუნანათ, იმდენი სიცოცხ-
 ლე ჩემს მკითხველს ჭქონდეს.

ხალხი, ზატარო, შეწუხდა. ბევრმა განიზრახა ჩივი-
 ლი; ბევრმაც მოინდომა გასეთებში გამოცხადება, (თურმე
 იმ დაზაში გასეთებში დამწერებიც უოფილან!) მაგრამ
 ბევრამ კატას უელზე ეყვანის შებმა ვერ გაბუდა.

ერთსელ, ერთი ცოდვილი ნამგალი ქვას მოხდა,
 ადვოკატი (აბლაკატიც უოფილა, ხა, ხა, ხა!) ჩავარდა
 იმ გასაწმედელში. იმან იმ გასაწმედელის ციცხლს ვერ
 გაუძლო, ხომ მოგესხებოთ, ზატარო, აბლაკატები
 რა სუსტი აგებულებისანი არიან?

იმან მოინდომა ძალთ შესულა ნეტარებაში. სამჯერ
 რომ მიეჯახა კარებს—კარებმა გრიალი დაწყო და თა-
 ვის თავად გადო. ვინც ბედნიერებაში იყვნენ—სულ
 გაოცდნენ. მამან ადვოკატს ეღიროს ნეტარებაში შესვლა,
 მაგრამ ველარ იხილა ბოზოლას ზირი, რადგან კარების
 გრიალმა ის სხვა ოთახში შეიყვანა.

ზატარა ხნის შემდეგ გამოვიდა იგი; განჩისხდა
 და განდგინა ნეტარებამდამ აბლაკატი და მაშინვე დასწრა
 განახენი: „რადგან შენ მცირე სატანჯველს ვერ გაუძელი,
 მას შენ ჭკობითის ღირსი ხარ, და ახლა,—ვაი—სა-
 წყალს!—ახლა უნდა ჩავსავნონ დედა-მიწის უფსკრულში
 გასატანჯველ დ....“

მე მოთხრობა გაკათავე,
 თქვენი ნება შევასრულე.
 რიდამ ვაშლი ჩამოცვივდა,
 ერთი მე, ერთი მოთხრობის მოქმედს
 და ერთიც ჩემს კეთილ მკითხველს.

ს. ბაერელი.

საზოლიტიკო მიმოსილვა

გერმანია. ცხრამეტს ამ თვეს ოსმალეთს მიუღია რუსეთის მიერ წარდგენილი შერიგების პირობები და ამგვარად ორი სახელმწიფოანი შეჭრიკების ერთ ერთმანეთს. შერიგდნენ, მაგრამ ორ წუალშუა დგომა ჯერაც არ გათავსებულა. შერიგების პირობები (რამი მდგომარეობენ ჯერაც არ ვიცით), როგორც მოგვსსენებათ წარდგენილ უნდა იქნენ მომავალ კონფერენციის წინაშე, რომელიც დიქრთმა უწყის როგორ შესედავს ამ შერიგებს. ყველა ცდილობდა აგები როგორმე ყური მოეჭრა და ცადის თვალთ მანც დაენახა თვითოეულის სახელმწიფოის განზრახვა და აქედან მისი მომავალი მოქიედობა კონფერენციის წინაღ უცნო. ამიტომაც ყველა დიდს ყურადღებას აქცევდა იმ ბასს, რომელიც გაიმართა და გამართულ უნდა ყოფილიყო ინგლისის, ავსტრიის და გერმანიის შარლაქიტში. ამიტომაც ყველა დიდის მოუთმენლობით მოელოდა, მაგალითობ, ბისმარკის სიტყვას, რომელიც უნდა წამოეთქვა რეისსტაღში აღმოსავლეთის საქმის შესახებ იმკითხვის პასუხად, რომელიც შეტანილ იქმნა შარლაქიტში სხვა და სხვა დასის წარმომადგენელთა მიერ.

შვიდს თებერვალს გაიმართა რეისსტაღში ეს ბასი. ბისმარკს ჰკითხეს თუ რას ფიქრობს მთავრობა და რა საქციელს დაადგება აღმოსავლეთის საქმის შესახებ. უფ. ბენიგსენმა სთქვა სხვათა შორის, შემდეგი: „საფრანგეთის ომიანობის აქეთ ჩვენ ვიცავდით მშვიდობიანობას იმ გარემოების მადლით, რომ სამი იმპერატორთა შორის სუფუკს შავი და იმ მდგომარეობის მადლითაც, რომელიც უზერია გერმანიას ამ ზავში. საზოგადოთ ჩვენ გვსურს—ჭსურს აგრეთვე რეისსტაღის უმრავლესობასაც—რომ აღმოსავლეთის საქმე ისე გარდაწყდეს სობოლოდ, რომ არ დაარღვიოს ამ გვარი მდებარეობა გერმანიისა ევროპაში. მე შემიდლიან დაგუმატო, რომ გერმანიის უმთავრესი სატკებლობაც ეს არის; ჩვენთვის ყველაზედ უფრო სასურველი ის არის, რომ აღმოსავლეთის საქმის გარდაწყვეტამ,—ომით გადაწყდება თუ მშვიდობით,—არ ავნოს ძლიან ავსტრიას, არ შესუსტოს იგი.“ ომიანობის დასაწყისში, სთქვა კიდევ ბენიგსენმა, როდესაც რუსეთი დიდ ძალას ხმარობდა, დიდი ზარალი და მსხვერპლი შეჭრიკა ომს, როდესაც

მას იმედი გაუწედა კიდევ გამარჯვებისა, მაშინ გერმანიის მიხედვით აღმოჩნდა შიში — ვაი თუ ამ დასუსტებამ (რუსეთისა) შესცვალოს მტკიცედ რუსეთის მდგომარეობა ევროპაში და სამთა იმპერატორთა შავი. ეს რომ მომხდარიყო, გერმანიის იმედი უფრო დასადა მდგომარეობა დაეზერა. ეს შიში მიიმედ შესანიშნავი იყო, რადგანაც ყველა ფიქრობდა, ვაი თუ ამ შემთხვევაში (თუ რუსეთი დასუსტდა) კვლავ დავიტოვოთ ისე მტკიცედ ჩვენი სატკებლობა და მშვიდობიანობა როგორც მაშინ, როდესაც რუსეთი მძლავრი იქნებოდა. მაგრამ პლენის დაცემამ გააუქმა ეს შიში. თუ ესლაც გვეშინიან ომიანობის შედეგისა, გვეშინიან რომ რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა შორის შეტაკება არ მოხდეს და ჩვენც არ მოგვეტყოს ვნება და ფეისი არ გამოედოს გერმანიის მტკიცე მეგობრობას. ესლც ამ შიშს სხვა საბუთი უძეკს, და ეს საბუთი აი რამი არსებობს: ჩვენ გვეშინიან, რომ რუსეთმა არ ისარტებლოს თავის სრულეს გამარჯვებით, არ ისარტებლოს ავსტრიის შინაგანის მდგომარეობით და ინგლისის საზოლიტიკო მარტობით და არ დასდვას იმ გვარი პირობა, რომელიც ვნებას აძლევს სხვა სახელმწიფოთ. ვინ იტყვის, რომ ეს შიში აღარ სუფუკს? უერთის სიტყვით ბენიგსენმა სთქვა, რომ რუსეთი ჩვენთვის საჭიროაო მხოლოდ იმ პირობით ვი, რომ არც ძლიან დასუსტებული იყოს და არც ძლიან გამძაფრებული.

წამოდგა შემდეგ ბისმარკი, რომელიც, რასაკვირველია, მტკიცე და გარდაწყვეტილი არა თქვა რა. ასე რომ რუსულ გაზეთებს გამოჭყავთ ამ სიტყვიდან ის დასკვნაკითომ გერმანიის ჩვენგან არისო, ავსტრიის გაზეთები-ვი ამბობენ, არა ჩვენგან არისო. ერთი ესკი ცხადათ გამოჩნდა, რომ ბისმარკი დაეთანხმა ბენიგსენის აზრს გერმანიის გარემოე პოლიტიკის შესახებ. ბისმარკმა ერთხელ კიდევ გამოაცხადა, რომ მშვიდობიანობას დაგუდებოთო და ვიკისრებოთ მხოლოდ შუაგ ცობასაო და მსაჭუფლობასაო.

გერმანიის სოციალ დემოკრატებმაც გამოაცხადეს ამ ვრებაში თვისი აზრი წამოყენებულს საგანზედ უფ. ლიბკნეხტის პირით: უავსტრიისა და გერმანიის შორის მეგობრობა შეუძლებელია; შეუძლებელია აგრეთვე მეგობრობა რუსეთთან. იქნება პეტრობურღის კაბინეტმა სიტყვა დასდვა, არას დავიზერო, მაგრამ იზერო ვი. ამ გარემოებამ გერმანიასაც უნდა შეუტყვალს მხედველობა

ბაზრის რუსეთის კაცთ-მთავარებთან მხლელად ლიტონი სიტყვა არის; იგი არ ეტყობა მის შინაგან პოლიტიკასა, არ ეტყობა მის ყოფა-ქცევას პოლიტიკის შესახებ. ამ გარემოებაში როგორ შეუძლიან რუსეთს ილახა-რაკოს ერთა უფლებას? პოლმა ხომ კიდევ ცოცხალია, კიდევ ჩამოვარდება მის თავისუფლებასზედ ლახარაკი მხლანი სახელმწიფონი, რომელთაც დაასრულებენ დუნაისზედ, მაგ. პოლგარია და სხვ. აუცილებელია აქვეყნიან რუსეთს, როგორც რუმინს და სერბს. მხლელად პოლმის სელახად აღდგენას შეუძლიან დაიცვას ევროპა რუსეთის გაძლიერებისაგან. გერმანიისა და მხარს აძლევს რუსეთს, კონგრესს არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევო, სთქვა კიდევ ლიბონესტმა, რადგანაც მისი ბედი იმ პირთა სელში იქნება, რომელთაც დაჭადაც ეს აღიანქოთი. პოლმა კი თვალწინ მიდგა: დღეს რუსეთმა გასრისა ოსმალეთი, ხვალ იგივე საქმე დაემართება ავსტრიასაც და გერმანიის რიგით მოვა თავის დროზედ (სიცილი). გეცნებათ? როცა მოაზრებთ გვიანდა იქნება“:

ბისმარკმა, რასაკვირველია, მხლელად ორი სიტყვა მიუგოდა დინივით ამ გვარ უთავბოლო ლახარაკს.

ს ა მ ა რ ი ვ ე ლ ო

(ისტორიული ჭკობოკრაფიული გამოკვლევა)

საქართველოს ისტორიის წყაროები: საჭიროა ამ ქვეყნის არქეოლოგიური გამოკვლევა. — ქართლის ცხოვრება და ძველის სომხეთის ცნობები. — ქართლის ცხოვრების გადამოწვევა, ქართველის ცნობის დასწრისზე, სარგებელი და ოსტრეტი.

III

როგორც წინა სტატიებით ვიცით, ჩვენნი წინაპრნი ძველის-ძველად მოკრებილან პონტო-კავკასიის მხარეში სამხრეთ-აღმოსავლეთით და სხვა და სხვა თქმულება. ქალღერა-ასსირიულია, ებრაული და თვით ელდინური მათ მეუკანავე ნაწილთა უჩვენებს ეფრატის სათავეებში და ჭაღისის დელე-მინდვრებში. თუმცა ეს თქმულება იმათ მისთვისებს სხვა და სხვა სახელ-წოდებას, მაგრამ ამასთანავე უკეთესნი ჩვენის ტომის მცოდნენი, ძველნივე მწერალნი, სახელდობრ ჭყრადლოტი და სტრაბონი ჭმარობენ, რომ ისინი შეადგენდნენ ერთს მონათესავე გრუზებს, რომელიც შეიცავდა სამს უმთავრესს შტოს, დაგლეჯილს რამდენსამე მცირე ნაწი-

ლებად. ეს შტონი არიან — კოლხნი, მუსკაი, მოსხნი (შემდეგ მესხნი), ტახლნი, ტუბალნი, ტიბარჩნი: ამ სახელ-წოდებებში წარმოდგება იბერი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ უცხო-ქვეყნების ძველი მიჯნები და გარდაცემი ტომანი არ გამოეხატებენ ნამდვილს ხასიათს და სვეს ჩვენის ტომისას. ჩვენის აზრით, ეს ნაკლებეკანება უნდა შეამოსს მომავალმა არქეოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და განსაკუთრებით ჩვენის მხარისამ. აქ ისიც უნდა დაუერთოთ, რომ აწინდელის ევროპის არქეოლოგიის კავკასიის მხარეს ჭხადიან არქეოლოგიის წარმეტყულის საფუძვლად. 1874 წ. სტოკოლმის არქეოლოგიურს კრებაში, როდესაც მენციენნი პირველის საუკუნის (КАМЕННЫЙ ВѢКЪ) განხილვაში შევიდნენ, ზოგიერთთა მათ შორის წარმოსთქვეს, რომ კავკასიის შესწავლაზედა დამკვიდრებული იმისი ნამდვილი გარკვევა. გარდა ამისა სახელაჟანი საფრანგეთის არქეოლოგი ბერტრანი მკორე საუკუნის (БРОНЗОВЫЙ ВѢКЪ) შესახებ გვარწმუნებს, რომ უმთავრესი ცენტრი ამ საუკუნის კულტურის მომარბისა იტალიაში და საბერძნეთში კი არა მკვსა, არამედ კავკასიის ძირად, საიდანაც იმან მაჭმართათა დნებრის კავკ-მინდვრებით კიმერის ნასკვარ ვუნძულს და დუნაას ბასსეინით აღშის მთას. 1)

იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ახლანდელი ცოდნა იმყოფება, ქართლას ისტორიის საფუძვლიანი შედგენა შეუძლებელი საქმეა. ჩვენ ვერ არა გვაქვს შეგროვილი ის წყაროები, რომლებზედაც უნდა დამყარდეს საქართველოს ისტორია. ბევრი დრო და შრომაა საჭირო იმათ შემოკრებისათვის. ეს წყარონი არიან ორ-გვარნი — „ნივთიერნი“, რომელნიც ისტორიის წინა-ყამს შეესაბამებ, და „ხელ-ნაწერნი“, რომელნიც ისტორიულ დროებს წარმოადგენს. ნივთიერნი ნაშთნი არიან ჩამარხულნი ძველს ნანგრევებში და სასაფლაოებში. მხლელად რამდენიმე წელიწადია, რაც შეუდგნენ ზოგიერთის ძველის ჩვენის სასაფლაოების თხრას. 1870 წელს, როდესაც მცხეთაში გაჭყვანდათ შოსეს - გზა, უბრალო შემთხვევამ აღმოაჩინა სამთავროს გვერდით რამდენიმე ძველი აკლდამა დიდროვნის ქვის და დიდროვნის გრამიტის

1) Дм. Бакрадзе, О до-исторической археологии вообще и Кавказской в особенности, Тифлисъ, 1877 г., стр. 18 — 19.

კვლევით. ამ შემთხვევას მაშინვე მიაქციეს ყურადღება: თბილისში შესდგა „არსეოლოგიური საზოგადოება“, რომელმაც ხელი დასდო ამ საქმეს. გაითხარა სასათუ-ღაობი სამთავროში, საერთაშორისო, დუშეთში და დილი-ყანში. იმათ შორის მომეტებული არსეოლოგიური სიმდიდრე ამოიღეს სამთავროში; ახლა ყველა საზოგინო ნივთიულობა გროვდება თვით არსეოლოგიურის საზო-გადოების „მუზეუმში“. ეს ნივთიულობა თითქმის მიღად ეკუთვნის ისტორიის წინა დროებს და ცხადად ჰიმნობის ზემოხსენებულს გავლენას ჩვენ მხარეზე ქალაქ-ასსი-რელებისას, ეგვიპტელებისას, ებრაელებისას, ელდინებისას და თვით რომაელებისას²⁾. უეტკელია, რომ მომავალში მრავალი ძველი ნივთიულობა უნდა აღმოჩნდეს ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავის ზღვის პირად. როგორც ვიცი ამ გვარს ნივთიულობა, შემთხვევით ნა-პოვნი, გაფანტულია სხვა და სხვა კერძო სახლებში, რომელთაც არ ესმით იმისი მნიშვნელობა და ამ მიზე-ზით ეს ძვირფასი არსეოლოგიური საუნჯე ისტორიის-თვის იკარგება.

თითქმის ამ გვარივე უბედურება სდევნის ჩვენ ძველ ხელ-ნაწერებს. ამ ხელ-ნაწერებს შეადგენენ როგორცაა: წარწერები ეგვიპტელებისა, ხატებისა, სამკაულებისა და ძველის წიგნებისა, აგრეთვე ადგილობრივი მატრიანები, გუჯრები და სიგელები, რომელთაზედაც უშრომნიან ჩვენ წინა-პირთ და გადმოუცნათ ჩვენთვის. განათლებულ ქვეყ-ნებში, სადაც ამ გვარს ძველადგან დაშთენილს წყაროებ-ზე მიქცეულია დიდი ყურადღება, ეს მასალა, აქა-იქ გახსნილი, დედა-ქალაქების ბიბლიოთეკებში და მუზეუ-მებში ერთად გროვდება იმ აზრით, რომ ვისაც სურს იმათით ისარგებლოს. ჩვენ ქვეყანაში საქართველოს ისტო-რიის წყაროებისთვის ყურადღება მიუქცევიათ მხოლოდ უცხო-ტომთ მტყნით. უფ. ბრასემ თაჟისს „არსეო-ლოგიურს მარგზურებაში“ (Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Armé- nie, exécuté en 1847—1848. S-Petersb., 1849.) გადმოსწერა ზოგიერთი საქართველოს წარწერები და გააჩვენა საქართველო-იმერეთის სიხლდის კანტარის გუჯრები, და თუმა მისმა „მარგზურებაში“ ნათელი მოკვინის ქართლის ცხოვრების, მაგრამ უნდა ვთქვათ,

რომ თითქმის ამ შრომით დასრულდა საქართველოს არსეოლოგიური შესწავლა. თვით ჩვენ იმათთვის ანს ვთქვით. ჩვენ იმათ ვაღწობთ კერძო სახლებში, ვიფანტავთ აქა-იქ, გავაქვს ივანი, როგორცაა: უბრა-ლო ნივთიულობა, უცხო-ქვეყნებში, სადაც უსარგებლოდ იღუპება. ამ გვარად გვაქვს დაგროვილი მრავალი ძვირ-ფასი ისტორიის მასალა. საჭიროა ჩვენს უსრულწველო-ბას ბოლო მოუვლოთ. საჭიროა, თვითთუღმა ჩვენგანს იგონოს, რომ ყველს ძველადგან დაშთენილი გუჯარი, თუ სიგელი, თუ წიგნი შეადგენს საზოგადო საქუთრე-ბას, რომ ვიდრე ყველა ამ მასალას ერთად არ შეიმოკ-ტვით და არ შევისწავლით, ჩვენი ისტორია, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, არ შესდგება.—ამ ცოტა სანში შემთხვევამ ჩაკვიდო ხელად ერთი ათინის მთის ეკერიის მონასტრით მოტანილი, ეტრადზე ნაწერი მე X—XI საუ-კუნის წიგნი, რომელიც გარდა ბრინჯისა, სავსეა წარ-წერებით და ეს წარწერები შეიცვენ ნამდვილს სურათს მე-X—XI საუკ. საქართველოს გვართა და პირთა, რომელთაც ქართლის ცხოვრება ან ურედ იხსენიებს, ანუ სრულებით არ იხსენიებს. ვინ იცის, რამდენი ამ გვარს ძველი წიგნი ან სამუდამოდ დაკარგულა, ან გადავტ იზოკება საქართველოში, სხვა და სხვა კერძო პირთ სახლებში?

ვიდრე იმ დროს მოვესწრობოდეთ, როდესაც ზე-მონხსენებული წყაროები მთლად ხელში ჩაკვიცვივა, ჩვენ უნდა ვიკმაროთ იმ შრომით, რომელსაც შეიცავს ქართ-ლის ცხოვრება და უცხო ტომთ ცნობანი. ქართლის ცხოვრება ეკუთვნის ვანტანგ მე VI, რომელიც იყო ქართ-ლის მეფის ლეონის შვილი და ცხოვრობდა მე-XVII საუკ. გასულს და მე-XVIII საუკ. დამდეგს ვანტანგი იმითაა ცნობი-ლი, რომ სხვათა შორის იმან პარკელად დაწინა საქართვე-ლოში სტატი და შეადგინა სწულას კანონი, რომელიც ამ უკანასკნელს დრომდე სახელმძღვანელოდ იყო ჩვენში მი-ღებული. ზოგიერთნი თქვით, ვითომც ქართლის ცხოვ-რება იყოს შეთხზული ვანტანგისაგან. ეს აზრი ცრუ აზრი თვით ამ თხზულების წინა-სიტყვაობა ჰიმნობს, რომ ვანტანგმა მხოლოდ შეჭვრინის მტყნით ვანტი და მოხვინა სხვა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვინ და კვლად გუ-ჯარნი მტყნითანი, გელათისანი და მრავალი ეგვიპტისათა და დიდებულთანი და შეამოქმეს და რომელი გარყვნილი იყო განმარტეს. აქედამ ცხადად იგულისხმება, რომ ეს

*) Тамъ же, стр. 21—37

სახლებში და ქვეთ ნაშენს სიმაგრეში; კაი-სანი იმათ ქვეთკარის ხმაკება ან იტოვებენ. ეს სკლავება იმათ უსწავლიათ სხარსკლავს ერისთავის ადამისაგან. ზნეობით ქართლისიანნი დაბლა მდგარან: ალექსანდრე მაგუდონელი მე-III საუკ. ქრისტეს წინაჲდ ქართლში შეჭსკუდრისა სპინდარს ზნე-ჩვეულებას: ქართველი ნათესაობას ან მისდევდნენ, იყვნენ გარყვნიდნი, სპიტიდად ხმაკობდნენ ყოველსავე სულ-დგმულს, თვით ადამიანის მძოვრის; თაყვან-სცემდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ, ნივთიერი-თა და ზირუტყვთ. ქართლის ცხოვრება გვიამბობს ზოგიერთ უცხო-ტომთ დასახლებას საქართველოში, მაგალ. ურბებისას ნახუქოდონოსორის ტყვეობის შემდეგ, თურ-კებისას სხარსკლავის მეფის კიროსის დროს და სხ. «ქართლში ქართლისიანთა ენა სომხურა იყო, ხოლო ოდეს შემოკრებეს ესე ურბიანნი ნათესავნი ქართლსა შინა, მათ შინ ქართველთა და უტოკეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული...» «და იყვნენ ქართლსა ესრეთ ადრეულ ესე ყოველი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, სპარსული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იყვნენ და იტოვდეს ყოველთა ქართველთა, მამათა და დედათა. 5)» თარგამოსის შთამომავლებსა, ესე იგი ჭაოსიანთ, ქართლისიანთ და კავკასელთ კაი-სანი ურბი-ერთი კავშირი ან შეუწყობითა, ერთი მეორეს შემწყობას აძლევდნენ და მტერს ერთად ებრძოდნენ იმათნი საზოგადო მტერნი იყვნენ ხაზარნი, რომელნიც ჭავჭავის ჩრდილო-მხარეს ბინადრობდნენ და ნებროთიანნი ანუ სხარსნი. განსაკუთრებით იმათთვის ხაშიში ყოფილან ნებროთიანნი. ბრძოლა იმათთან თითქმის შეუწყობელი ყოფილა. ნებროთიანნი ცდილობდნენ არათუ მხლოდ თარგამოსიანთ დამონაგებას, არამედ გავრცელებასაც იმათ შორის სხარსკლავის სამოქალაქო წესისა და სარწმუნოებისა, ესე იგი ცეცხლის თაყვანისცემისა.

ვინც კი დააკვირდება ამ თქმულებას ქართლ-ცხოვრებისას საქართველოს დასაწყისზე, ის ადვილად იგულისხმებს იმის ზღაპრულ თვისებას. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ქართლის ცხოვრება ზოგიერთთა მიხედვით

ვასტანგის მიერ მოგონილ შრომად. რომ ქართლის ცხოვრება ან არის მე-XVIII საუკ. მოგონილი, ამას ნათესავთ თვით ეს შრომავე გვაძლევს სულში. უძველესნი საქართველოს სწორნიკების შემადგენელი, ქართლის ცხოვრების თქმით, არიან: მირონის რძალი, უჯანდის დედოფალი სალომე, რომელსაც აუწყრია წმინდა ნინოს მოღვაწეობა და ქართველობისაგან ქრისტეს აღსარების მიღება 6); ახლათარ, ურბების მღვდელი და აგრეთვე ურბის დედაკაცი სიდონია, რომელიც ნინოს მოწაფენი; ამათი მოთხრობა შეიცავს იმავე საგანს 7). მე-IV საუკ. არაჲ - ბაგურის შეილის მურვანოზის ცხოვრება აუწყრია სირიულ ენაზე ქართველს საქარია მღვდელს და შემდეგ ქართულად უთარგმნია მკაცრი მღვდელს 8). ირაკლი იმპერატორის მიერ ახსარების დაჭერაზე 626 წ. ცნობა გამოკრებულია სეკვალისიო წიგნებიდან 9). ცხოვრება წმინდა აბიბოსი, მეთვამეტის მამათაგანისა, რომელიც მე-VI საუკ. შემოსულან საქართველოში, შეუდგენია ჭათალიკოზს არსენს 10). ახსარების ერისთავის ლევანის დროს მე-VII საუკ. მოხსენებულია «გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარხინებულნი ტომებით და სოფლებით მათით» 11). მე-VII საუკ. ლეონტი მროველს შეუდგენია მეფე არხილის წამება აბიბოზს, ისტორია მეფეთა და სასარების გავრცელება ნინოს მიერ, «ხოლო აწ სწერს დეკანოზი იოანე» და უთავს ქართლის ცხოვრება 12). იმავე არხილის ცხოვრებას დასასრულ ქართლის ცხოვრება იტყვის: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვასტანგისამდე აღიწერებოდა ყვამითი ყვამად, ხოლო ვასტანგ მეფისითგან ვიდრე აქამდე აღწერა ჯვანშერ ჯვანშერისა მძისწყლის ქმარისა წმიდას არხილხაძისა, ნათესავისა რუისაძისა, მირონის ძისაძისა, და ამიერიტგან შედგომთა საქართველთა აღწერონ, ვითარცა ისილან და წინამდებარემან ყვამან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღვთივ განმარტობილსა» 13). ეს გვარია მწიგნობრობა ჭებონით ქართველებს საკუთარის ისტორიისათვის, ეს იქიდანაც სჩანს,

6) ქართლის-ცხოვრება I, 99
 7) იქვე 64, 79-101.
 8) Hist. de la G., I, 138 n. 1.
 9) Ibid., 229 n. 1.
 10) Ibid., 233 n. 2.
 11) ქართლ-ცხოვრ., 178.
 12) H. de la G., I, 253 n. 1.

5) ზოგიერთ ქართლის-ცხოვრების დედებში: «და აცოდეს ყოველთა მკურთა ქართლისათა.»

რომ მე-XIII საუკ. სომხის ისტორიკოსის სტეფანოს ობსელის მიწოდებით, ამ ქვეყანაში ძველადვე იყო არსიები, «რომელნიც იწოდებოდნენ სამეფო არსიებად, სამდინო არსიებად და დათრებად»¹⁴). იმავე სტეფანოსის აზრით საქართველოში ყოფილა საზოგადო საქართველოს მატინე, რომელიც «ქართლის-ცხოვრებად იწოდებოდა»¹⁵). ჩვენ დაწმუხებულნი ვართ, რომ თვით ეს «ცხოვრება» არის ის «ქართლის ცხოვრება», რომელსაც ვასტანგ მეფეს მივასწოთ, მხოლოდ ვასტანგისაგან შემოკრებილი, შემწმუხებული და შეესებული. ამ აზრს ამტკიცებს სომხური ხრონიკა ანუ, უკედ ვთქვათ, ქართული ხრონიკა სომხურ ენაზე, რომლის ერთი დედანი, გადაწერილი 1279 - 1311 წელს, უფ. ბრასეს უბუნის ეპისკოპოსის მონასტერში და თავიდან ვიდრე დავით აღმაშენებლის სიკვდილამდე, რომელითაც თავდება, გამოწერილია, თუმცა შემოკლებით, ვასტანგის ქართლის ცხოვრებიდან¹⁶).

ი ვ ე რ ი ა ს ა დ ვ ი ვ ა რ ი ლ ი

ქუთაისი და მისი ქუჩები

«არ შეიძლება შეგებოთ პილარნი იუგენ და ცხოვრებოც უფლებულად ღირსენ.»

ამ ჩვენ საბრძოლო ქუთაისის ყოველ-ნაირი უბედურება ჭსდევნის: თითქოს ბუნებას მისთვის ის სვე დაუნიშნავს, რომ ეს საბრძოლო ქალაქი ყოველ საუკუნეში, მეცხრამეტეს დასასრულშიაც უფურცადებოდ და უღმერთოდ უზიგვეჯალ-მოგლეჯილად უნდა იყოს წელში გაწვეტილი, დამუნჯებული და იმ სახის მანქანებული, ვითომ მისს ტვირის მქონე და პირმეტყველ თვისებას არ უნდა ჭსონ-

¹³) ქართლ.-ცხოვ. 184.

¹⁴) Histoire de la Siounie, SPB., 1864, I, 221-238.

¹⁵) S-Martin. Mémoires sur l' Arménie II, 65

¹⁶) სსენებული ხრონიკის ურანციცული თარგმანი Chronique Arménienne ხართულია ბროსეს მიერ გამოცემულს Additions et Eclaircissements à l' Histoire de la Géorgie, SPB, 1851, 1-80. თვით სტეფანოსისაგან შემოცანილი მისი «ხუნიის ისტორიაში» ორბელიანთ გვარის მოამომავლობა და ცხოვრება წარმოგვიდგენს საქართველოს დასაწყის იმავე სიტყვებით, როგორც ჩვენს ქართლს ცხოვრება.

დეს ნება არ უნდა ცოტად, ცხადად მაინც აჩვენებდეს, რომ მას ემდის, რა არის სადარო მისის ცხოვრების განკარგულებისათვის და რა არის ამისი წინააღმდეგი. სხვა მრავალთ ცხოვრების განმკარგებულთ მოკლენათა, რომელთაც, ამ საბრძოლო ქალაქს გვერდი აუარეს, ჯერ-ჯერობით თავს ვახებუ. ესლა ვიტყვი მხოლოდ მის ქუჩებზე და იმ კარგა ხნის შემოდებულ ქუთაისის თვით-მმართველობაზე, რომლის პირველი «მოკალეობა» ქალაქის კეთილ-დღეობაზე წამ-გამოუშვებლად ჭსურნიდა. საქმე აი რა შიას:

მასსოვს,—მე ჯერ ვიდექ ქუთაისის გიმნაზიის დაბადის კლასის მოსწავლედ ვიყავი, ქუთაისის ქალაქი, გარეგანის შესედულობით, ბევრად არ განირჩევიდა ისეთის სოფლისგან, სადა სმირი მოსახლეობას, ანუ, უკეთა ვთქვათ, ისეთის დაბისაგან, როგორც არის, მაგალითად, ხსარი *) ხონი **). აქ უმეტესი ნაწილი შენობისა იყო სისა, ყავრით გადახურული და მწუელ-მწუელი, თითქოს ერთი-მეორეს ექსებოდნენ ერთი-მეორის გადასატანად; როგორც ორი ბიჭი ფეხებს გაახაჯანებენ, ერთმანეთს სელს ჩხალებენ და ეჯიბრებიან ერთი-მეორეს: ხან ერთი დასილევს და თავისაგან გადაჭხრის მოჭირდაშირეს და ხან მეორე. თუ ჩემთანა ტყუილად მოხეტიალე ვაივლიდა ჩვენს ქალაქში და დავეკრდებოდა აქურდ შენობებს,—საშინელი გუელის შემსარებელი სურათი წარმოუდგებოდა. ითქვამდა: «აა, ერთი, ცუცხლი რომ სადმე გახნდეს, რომ სულ ამოაიფურტებს ეს საწყელი ქალაქი, და დაჩხება მხოლოდ ნაცარ-მტკერი. და თუ, ჩვეულებრივ, ქარც ამოჭტედა, სომ სულ ერთანად დაგვასრხობს ამ ნაცარ-მტკერის ჭარში გაფანტვითა»..... ქუჩები (უმეტესი ნაწილი) ისეთი ვიწროები იყვნენ, რომ ანამც თუ ორი «არაბა»—ურემი შეუვლიდა ერთი-მეორეს, ანამედ ორი იმერული ურემ კალაქებიც ვერ გაიმართებოდნენ, რომ ერთმანეთისათვის გზა აქციანთ. იმ დროს მოვიდა აქა პოლიციის უფროსად (პოლიცე-მეისტრად) «ნეტარსსკებული» გრაფი სიმონიხი. მან, არ ვიცი თვისის ნებით, თუ არ (ეს მე არ ვიცი: ამისთანა „დიდ“ საქმეებს მე, ღარბი დატავს, ვინ შემატყობინებს?!), იმულებულ-ჭყვნა ქუთაისის მეძმულები, რომ

*) ხსარიის შემო-იმერეთში სეატრო ღაბა.
**) ხონი—იეთივე ღაბა ქვემო იმერეთში.

თან და თან, შექმნის-გვარად, ხის შენობები და-
 ღვიონ და ქვისად აქრონ. ამასთანავე ჭქმნა განკარგუ-
 ლება, რომ აწავინ სასურავის განახლება ყავრით აღარ
 გაბედოს: უგელამ თავიანთი შენობები ან თუნუქით
 (ყესტით)და ან გრამიტით გადაჭხურეს. რასაკვირველია,
 ეს უკანასკნელი განკარგულება უფრო მიზნის მისაღწე-
 ვიც იყო და უფრო რატატორიც. უმისოდაც ნასვერად
 დამწალი და წასაქცევად გამზადებული შენობის კედლები
 გრამიტისა და თუნუქის სიმძიმეს ვერ აიტანდნენ, და
 ამისგამო, ქუთაისის შენობებს მუხატრონიები, ნებით
 თუ უნებურად, იძულებულ იქმნენ თავიანთი შენობები
 დააქრონ და ქვისა აკონ. ამ ნაირად, ქუთაისის ქალაქი
 რის სამის წლის განმავლობაში „რადაცას“ ვი დაქმს-
 გავსა. ამას რომ ის დაუბატოთ, რომ იმ „შენებულმა“
 ცუტსლმაც ხელი მოუწყო, მაშინ სულ გადასვსაფერდა
 ქუთაისი, — რასაკვირველია გაუკეთესდა. ეს კარგი და
 კეთილი. ამასთანავე, შენობები რომ ახლდებოდნენ, თან
 ქუჩებიც ვრცელდებოდნენ და აქამდის მიღრეკილ-მოღრე-
 კილი, რამოდენადაც შესაძლო იყო, გასწორდნენ. იმ
 დროს ზოგი (უმეტესი ნაწილი) ქუთაისის ქუჩები მოუ-
 რეკელი იყო. „ნეტარსსენებულმა“ გრან-სიმონიჩის
 მოასდინა განკარგულება და დაუზოგველად ხარჯისა და გა-
 ნურჩევლად საშუალებისა (აშენდა მისი ოჯახი!) მიჭყო-
 ხელი ქუჩების მოწოდებას, აქა-იქ რიდისაკენ თხრილების
 გაყვანას, და რამდენიმე წლის განმავლობაში ქუთაისი
 დაქმსგავსა გვარისა ზატარა ქალაქს. ისე შეკედლო წვიმა-
 ში, თუ დარში მის ქუჩებზე გარება, რომ ჩქმა არ
 ვაკვსურებოდა: არც ტალხის დგებოდა და არც ის უუდი-
 რი“ მტკერი, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში კარგა
 ბლომად ჭულაპეს ქუთაისის ქუჩების მტკებნელთ ხალხთა,
 რომელთ რიცხვში, როგორც უსაქმო“, მეც თქვენი
 მონა მოწილი. განსვანთ.

გავიდა დრო-ჟამი, ბევრმა წყაღმა ჩაიარა რიონის
 მონიოში, თუ ტუმბომ, თუ ვამპამმა, თუ უძლად“ გა-
 ჭურჭვიანებულმა, და როგორც ბუნებაში საზოგადოდ
 მოხდება ხლმე, რომ ერთსა და იმავე საგანს, განსა-
 კუთრებით სულდგმულს, სულ ერთ ადვილს ცხოვრების
 ტაღდა არ დაეყუბეს, აგრეთვე გრან-სიმონიჩიც არ
 დაეყნა. ის გადაიყვანეს (თუ თვით გადავიდა, ეს აღარ

ვიცი: მე სომ უბრალო შოკდავი ვარ.) სხვა ქალაქში,
 რასაკვირველია, უკეთეს ქუჩებთანში, ვიდრე ჩვენი ქუ-
 თაისი!

ვიდეო განქმნა დრო-ჟამი თავის ულეველის გზით,
 და რადგანაც იმავე ბუნებაში უგელაფერი ცვლება, ხდე-
 ბს (უკეთა ვსთქვით: გარკვეულ სასეს იცვლის, ე. ი.,
 ზირველის დანიშნულებისათვის აღარ ვარგა), ეს ჩვენი
 ქუჩებიც წაჭნდა. რომელი მუდამის ღახვის გამო მტკრად
 იქცა და ისეთი თხრილები, რომელნიც ჩვენთვის საჭი-
 რი იყვნენ, აქა-იქ ჩაიქცნენ, ამოიყვნენ, და რომელნიც
 ვი ჩვენთვის „მინტ-და-მინტ“ საჭირო არ იყვნენ, არამედ
 „ოქროს ფიჭვილებიანის“ თეზებებისათვის (მაგალითად
 ქუთაისის ბუღვარში). ისინი, ჩვენის ცოდვით სავსენი,
 სანამ იფლები არ ჩაყარეს შიგ, არას გზით არა თუ
 ამოიყვნ თავის ნებით, არამედ ერთი კვნიც შიგ არ
 ჩავარდნილა, თუმცა ვი თხრილები სულ თავ-
 ღია გახლდათ და იმდენადაც ვრცელი ფსკერი ჭქმ-
 დაც, რომ მთვარის-ღამით „წამითი-ბედის“ მამკართ
 ადვილად შაკელათ არა თუ მხლოდ ხუთმეტ-რტი წუ-
 თი დაეუთ შიგ, არამედ მრთელი დამეც კარგად გა-
 თათ. ვითომ რა უშავდათ: მე ბატევი, სული დაქმ-
 ბლდათ!

ქვ, ძლიერ გაუმორდი ჩემს საგანს, როგორც, ჩვე-
 ულებრივ, ჩემს გამოზრდაში მუდამ ვმორდები! მე მსურ-
 და—შეშოკებით მეტქო რამე ქუთაისის უზირველეს
 მოთხოვნილებაზე, და, წინააღმდეგ მისსა, იმდენი მომ-
 დის კალმის წვერზე, რომ ვაი, თუ ენა-ჭარტალი და-
 მარქვან, და ეს ჩემი ნაჯდაბი აღარ გააბედნიერონ გა-
 სეთში გამოჭიმვით! ხომ დავიდუზე მაშინ! ჩემისთანა
 „მტირე თავის-მოყვარე“ ვატი ხომ გულზე გასკდება: ვა,
 უყინის თავის მზემ“ სტატია დამიწერია, და არ მიბეჭ-
 დავენო! ეს რასა ჭგავსა? მაგრამ, უფ. რედაქტორო,
 ჩემისთანაებს ნუ მიაქცევთ უურადლებას, თქვენს მზეს გა-
 ფიტებთ! მე ხომ „მატენტიანი“ არა ვარ! მა, რა გი-
 შავსთ? დაჭბეჭდავთ, არ დაჭბეჭდავთ, ეს სულ ერთია
 თქვენთვის!...

როგორც უნდა იყოს, ემ წამში გადაწვივითა რომ
 ჩემის ხალკელის მეზნით რაც შაილება მოკვლდა ვსწე-
 რი... მაშ, „ატეხილთა“, იმედთა მისაღწევ თხრი-
 ლებს თავს დავანებებ და დავიწეებ ურმის სავალს ქუ-
 ჩებზე, — რაც იყოს და იყოს!

რეგორც ზევით მოგასხენეთ, გრათ-სიმონისი გა-
დაიუყანეს-თუ გადავიდა ს. დღაც. ჩვენ ქუთაისლები და-
რჩით ხან თანამდებობის აღმასრულებელის სკოლაში, ხან
ხამდვილის პოლიციის უფროსის სკოლაში, ხან ერთიც და
მეორეც გაგვაშორეს,
უკვლავი იცვლებოდა ამ ჩვენს ქალაქში: «გოგობიკა»
ების ტანისამოსიც, ,,ცრუ“ ნიგილისტებიც თან-და-თან
გარკვეან შესხედულობას იცვლიდნენ—ზოგმა ვაჟმა თმა
მოუშვა ბეჭემადის, თითქოს მღვდლად ემზადებოდა, ზოგ-
მა ხსალგაზდა ქალმა თმის კრეჭა დაიწყო.
სიტყვით, ბევრი ,,თავისებურება“ და მოდა შემოვიდა
და ,,განჭკა“ ჩვენს ქალაქში; მაგრამ ამ ქუჩების გასწო-
რებს კი არა გაეწყო რა! ან კი რათი გაეწეობოდა?
გრათ-სიმონისის შემდეგ, პოლიციის უფროსთ—ზოგნი
არ იფარებდნენ და ან ქალაქის გარეთ თავისთვის აგარაკებს
აპოებდნენ. მამა-ხადაძე, ქუჩები რეგორც იყვნენ, ეს
მით არ იცოდნენ (ესეც ბუნების კანონია...); ზოგს
სულ სხვა ,,თავისებური“ საშუალება ამოეჩნია თავის
მოკვალეობის ასასრულებლად. მაგალითად, სხვა და სხვა
ხელის გადალება (წერაზე ვამბობ); ბროშიურების წერა-
ში გავარჯიშება (ვინ იცის, იქმნება, სხვა უწერდა!)
,,ადამის სამოთხის კეთილის და ბოროტის საცნობელის
ხის“ წიგნაკების მოგროვება; მახეზღართა შოვნა, დარი-
გება და სურათების დასატვა; თუ ხეჯების მოშობა, და
სხვანი მრავალთ-მრავალნი.... ჩვენი ქუჩები და თხრილები
ვისლა ახსოვდა? ჩვენი პოლიციის უფროსს. სურ-
და—,,საკუთარი თხრილები“ ამოეკრა და ,,საკუთარი“
მეტსრე ცამდი მისაღწევა გზა გაეწილა. კაცმა მართა-
ლი უნდა ჭსოვქვას: საშუალებაც დიდ ,,სურცნოვ“
მოიძია....

ბედლოულად.

(შედეგი * ქსე.)

შვილი მოხუცებული გარეისა

(შედეგი *)

V

მეფის სწა-სასხლე ძლიან განადგობული იყო; მდიდ-
რად მოკთულნი მოსამსახურენი გარბოდნენ და გამო-
ბოდნენ დიდს დაბნაში; მრავალნი თავადნი სერბიის სა-
მეფოსნი, ჯგუფ-ჯგუფად წინ და უკან დაიარებოდნენ
მდიდრად მოყენილ ხალხებსად.

საბჭო დაბნაში ისდნენ ტახტის დედა-ბოძნი—
უსურცესნი სერბიის ხალხისა. მოუთმენელად ელოდნენ,
რომ მეფემ ბძნოს რამ ტახტიდამ და ბჭობა გაიმარ-
თოსო.

მეფე წამოდგა ფეხსედა და მჩისხსნებით წარმო-
სთქვა:

— მეფე მთელის საბეჭმეთისა, ბოლგარისა და
სერბიისა თხრულაბს საკესა უჩნთა სერბთაგან!

მთელს დაბნაში ერთბადად გაიმართა გულის-
წერამის ხმამ; რისხვამ გაუელვა თვალეში ამ მოხურ-
თა კრებას და მეფემ ხელახლად დაიწყო:

— ომს ირჩევთ, თუ საკეს მიტყმას? ჭკითხა მე-
ფემ.

— ომს, ომს! დაიგრილა კრებაში, დედა-ბოძმა
ტახტისამ.

— ომს! ამობდა გულის წერამით ანთებულ
თვალს, — ომს! წკრიალებდა ხმალი, ქარქაშიდამ ამოწ-
ვდილი.

— მამ ომი იუოს და სუჩნა მტრისა! დაჭსკუნა
მეფემ.

.

ზრისტინაში წინანდელი უდრდელი შინაწრულებს
შეჭსწყდა; ესლა ქალაქის ქუჩებში დაიარებოდნენ შიან-
დებულნი იუნაგნი, თავადნი, მოკთულნი აბრეშუმისა და
ოჭრო მკვრდით ნაკრის ტანისამოსითა. იგი იყო მხედ-
რობა, რომელთაც წინ ედვით დამარცხება გასწავდებუ-
ლის ბერძნისა.

* „ვესტნიკი“ № № 6 და 7, 1878 წ.

იუნაკთა შარის რადიშაც იყო; იგი ერთგულბით შეჩნა თავის სამშობლო-ქვეყნასა და თუშცა ჯერ ჭაბუკი იყო და ამასთან ძალიან მდიდარი, მაგრამ უსარდა რომ თავის უმარყო-გაცლობაშივე თავს დაჭსდებს თავის ქვეყნისათვის.

მოსხუცებულის გამოსის შვილს გულ-მკერდს უშეკნებდა რკინის პერანგი ოქროთ დაფერილი, სომარის ჩანჩინზედ გადმოშეებული ჭქონდა ფრთა მკირფასის თვლებით მორთული; გვერდზედ ეტიდა ხმალი მდიდრად შემოსილი. თვალები მისი უნდა გუნასათ, თვალბი... რამდენს მშვენიერს ქალს მდიდარის პრეშტინისას ამოუბზვრია იმ თვალბისათვის, მაგრამ ჭი გერც ერთს ვერ გაბედნა შიგ ჩასვლას იმ მწველი-დსავით ბნელ თვალბში!

რადიშა იყო მშვენიერი, როგორც ღმერთი, თავ-მომწონე როგორც აწივი, რომელიც თამამად თვალს უსწორებს მზეს, თავისუფალი როგორც ღამი, რომელმაც არ იცის რა არის სუნდი და ტანადი როგორც კვიპაროსი.

მარტო ერთი რამ აწუხებდა რადიშას. როცა მეფის სრასასლის ახლო გაივლიდა, რაღაც უცნაური ხმა ჩაჭსნურნულებდა ხოლმე ყურში: «მეფეს შენ ჭსუღუნარ და ეჭავრებიო. შენ არ გწამს იგი ღმერთი, რომელსაც თავიანს ჭსტუმს შთამომავალი ნემანისისა!» რადიშა წწწოდა, სული ველში უგუბდებოდა. ხოლო გული მაწუქვდა ნახვად იმ სამეფო ტახტისა, რომლისათვისაც მამამ ანდერძათ დაუღო თავის დაღებს საომარს მინდარზედ და რომელსაც იგი იმავე ანდერძით ახლოც არ უნდა მიჭკარებოდა.

მზე დაწურვასე იყო; უკანასკნელი სხივი თან და თან ჭქრებოდნენ წითლად მღვიმარე ცის კამარზედ. შვილი გამოსისა მჭმუნვარის სახით შეჭურებდა ჩამავალს მზეს, თითქო სიცოცხლეს ესაღებოდა. თვითონაც ვერ გაიგო როგორ მოხდა, როცა თავის თავი უგრად დაინახა მეფის ქალის კრინას ბაღში. მთელს პრეშტინში რადიშას არც ჩანობა ჭყვინდა, არც მეგობარი, გარდა ამ ოქროვან სხივებისა და წითლად მღვიმარე ცისა. მარტო ამით უმეღავნებდა თავის გულის-ტკივილსა.

ობოლი იყო, ობოლი! მას გაასენდა თავისი დამარხული ბედნიერება—მოსხუცებულა მამა; მას წარმოუდ-

გა ტიმოკი აბიბინებულის ნაპირებითა, ნაკრდი ნადირობისა და ქორ-შავარდნისა. ფიქრში გაუარა იმ წყარომ, საცა შეხვდა კრინას, გაუარა დაუვიწყარმა შემოსეღამ კრინას შავ-თვალბისამ. რადიშამ თვალბები დახუჭა და თვალწინ წარმოუდგა, როგორც ცოცხალი, მეფის-ქალი, შუქ-შესხმული ჩამავალის მზის სხივებითა; იგი უღიმოდა რადიშას ანტელის დიმილითა და ისე წყნარად უოხვრიდა გული, თითქო საღამოს ნელა ნიავი ჭკვინისო.

რადიშამ თვალბი აახილა. მის გარემო მწუხრი ჩამოვარდნილიყო საცარის საფხულის საღამოსი; ხოლო მან თვალბი არ ათხოვა იმ საღამოს მშვენიერებას, იგი ეხვეებოდა მას საანულოთად. ჭაბუკის იუნაკის გონება მიჭქროდა მეფის ქალისკენ და ამ ყოფაში ფიქრადაც არ მოხდიოდა, რომ იგი ქალი იმ წუთში მის ახლო იყო.

მას აქედ ცაც რადიშა მამულის სახლიდამ წამოვარდა, ეს მეორედ ამოდიოდა ახალი მივარე. ამ ხანში მოხსენებულის გამოსის შვილი ყოველდღე სუდავდა ხოლო მე სრასასსლეს სერბის მეფისას, მაგრამ არ იცოდა ვი, რომ მარტო იქნას ოთახებში მისთვის ჭკვინდა მისი ღმერთს მშვენიერებისა.

ცა მოიკაზმა ვარსკვლავებით; სადღაც გალობდა ბუღბული, ყველგან ღუმილი იყო; ერთი ფოთოლიც არ იჩხუოდა; შეუწეულად ისმოდა მხოლოდ ერთი გალობა შუაღამის მგალობლისა. ამ დროს მოისმა ნელი ფეხის-ხმა... რადიშა შეჭკრთა გულის ფეფოქა დაუდგა, მარდვში სისხლი გაუშრა... მის წინ კრინა იდგა!..

— ჩემო ღმერთავ! შეჭსმხა რადიშამ და დაეცა მუსლებზედ. განა შენ არა ხარ იგი ბუთი, რომელსაც თავიანს ჭსტუმენ, ვითარცა ღმერთს, ჩემო წინაპარნი? მეც უნდა გიწამო და თავიანი-გვე!.. იწნავა შენ ხარ მოციქული იმა ღმერთისა, რომელსაც თავიანს-ჭსტუმს მეფე ჩემი?.. იწნავა შენ სირინოზი ხარ?.. თუ ატრევა, მომიღე ბოლო!.. ხოლო თუ შენ ხორციელი ხარ... შემევიარე მე!

მეფის-ქალს თრთოლა მოუვიდა, შებარბადა და დატრემს ღამიდა. მაგრამ რადიშამ მკვლავები გაშალა და იგი მშვენიერება მიეუღო მის გულს-მკერდსა.

კრინა თრთოდა როგორც ფოთელი ქანისგან; მსურვალე კოცნამ იუნაკისამ გაფითრებული სასე წითლად აუნთო.

ეს წეთი იყო წეთად განუზამელის, უსაზღვრო ნეტარებისა, რომლის შემდეგაც ჩვეულებრივი ცნობება უფერულია და უგემური.

— ერთხელ კიდევ მიგიკრა გულზედ, ჩემო სისხრულა, ჩემო სინდრულა!.. ერთი კიდევ მაკონინე.. კვადრებოდა რადიშა.

— ძითხარ, ვინა ხარ, ვინ? ჭკიფისა მეფის-ქალმა: მე მიყვარხარ, მიყვარხარ! მე მეფის ქალი ვარ! ჩემის სიყვარულისა. არა ვინ არა არის რა, არც მეფემ, არც ერმა... მაგრამ დანამალავი აქ არა არის რა. რისთვის უნდა დაუძალა ვისმეს ჩემი სიყვარული?..

— მე ვარ შვილი მონუტეულის გემისა, უპასუხა რადიშამ თრთოლით.

კრინა შექრწუნდა. სასელი, რომელიც აწ მოისმინა, არ ისვენებოდა მისის მამის სასახლეში; ჯერც ერთი დიდებული ვერ ჭებულა იმ სახელის სსენებას. ვინამეს იცოდა; ისიც იცოდა, რომ მისი სატრფიალო შვილი წარმართისა და კერბთ-მსახურისა... იცოდა ეს უფელი, მაგრამ მით არ შეჭმდირების ერთხელ აღსნებული სიყვარული მისდაში.

— მე ქრისტიანი ვარ, წარმოჭსთქვა აუნქარებულად მეფის ქალმა: სოლო შენ ვი? შენ კერბთ-მსახური ხარ? შენ შენი დმერტები გეგს?...

— დიდ—შენ ხარ დმერთი ჩემი! შენს მეტმედ მე მყავს კიდევ დმერთი ბრძოლისა, დმერთი მშვიდობისა, დმერთი ნათელისა, დმერთი მწყევლისა, დმერთი მშუღვარებისა და დმერთი სიყვარულისა!

— ჩვენს სარწმუნოებაში ეგ დმერთები არ არიან! ჩვენ ერთი დმერთი გვევს! მაგრამ სიყვარული შენი სსუგუნოდ იცხოვრებს ჩემს გულში!...

კრინამ ჭსთქვა ეს და თავი თვისი მიაყრდო ჭაბუკის გულსა.

.....
სეზბის მხედრობა წავიდა საომრად.

სამხელი რძი მოუხდათ; სეზბიელნი რძობდნენ თავისის ქვეყნის თავისუფლებისა და სახელისათვის; დიდების გვირგვინი დაეჯათ თავზედ მათ, რომელნიც დაიხრნენ იმ უწმინდესს რძშია!..

(უკლეგო აქება).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ისყიდება ქ. ტფილისში ვველა წიგნის მალაზიებში:

- სალამური, ანუ ლექსთა კრება, ფასი . . . 10 კ.
- ანუჰა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რეულოვისა, ფასი 20 კ.
- გოგია მებანბური, ლექსები ავ. წკრთლი-სა, ფასი 5 კ.
- ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისგან, ფასი 40 კ.

გამოვიდა და ისყიდება
«სოლი ვიტირო თუ ფული?»

კომედია ალლო თუთაგვისა

ისყიდება: ქალაქში—ველა წიგნის მალაზიებში და ლექსანდრე ჯიმშკოვთან, თელავს—იოსებ გუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქერაჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუმნის ბუჭუტში, სურამს—ზაქარია ანუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჭანუკოვთან და სვ. ცერკვამესთან, ფოთში—ელისაბე ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიქსთან, მეგრ ერისნენს—მასწ მისე ნათამესთან, გორში—სტ. ზომოკოვთან და თვითონ ავტორთან.

მდგომარეობა ანგარიშებისა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში,
1878 წელსა 1 იანვარს.

აქტივი.

პასივი.

	მანეთი.	კაპ.		მანეთი.	კაპ.
გმქელ ვადიანი სესხი, გაცემული:			ძირის თავნი:		
სოფლის მამულებზე 43 ¹ / ₂ წლით.	61,300	—	შემოტანილი	411,008	44
ქალაქის — — 18 ⁷ / ₁₂ — .	143,600	—	შემოსატანი	26,741	86
მთლიანი ვადიანი სესხი	146,662	—	გირავნობის ფურცელნი გაცემულნი:		
ვადსუდ შემოსატანი, რომელსაცა აქვს ღვრტა	9,575	50	43 ¹ / ₂ წლიანი	61,300	—
ვადსა გადაცემული შემოსატანი	46	46	18 ⁷ / ₁₂ —	143,600	—
უკუ-დასაბრუნებელი ნასრჯები	218	26	თავნის მოსახზობი ფონდი:		
მიმომავალს ანგარიშსუდ მიბარებული:			43 ¹ / ₂ წლისა	224	29
სასკლმწიფო ბანკის თბ. განყოფილებაში .	1,156	18	18 ⁷ / ₁₂ —	2,417	73
თბ. საერთოერთო კრედ. საზოგ.	1,913	19	სარგებლის ფონდი	6,395	99
— სავაჭრო ბანკში	416	17	სარგებელი მთლიანი ვადიანი სესხისა	9,843	01
სარგებლიანი ქალაქდები, ბანკის საკუთვნელ-			წლიური შემოსატანი	4,214	20
ნი (სასკლდობით ღირებ. 40,450)	37,250	—	ერთ-ღწერილი შემოსატანი	5,740	21
„ „ სასკლმწიფო ბანკის თბილისის განყოფი-			ჯამისა	133	24
ფილებაში (30,000)	27,600	—	სხვა და სხვა სარგებელი	27,665	59
მათი სარგებელი 1878 წლის 1 იანვარამდის			გადასტეში ფული	2,566	19
491 მანეთი და 87 კაპ.			ტირასუში გამოსულნი გირავნობის ფურცელნი	2,500	—
გირავნობის ფურცელნი, გასასყიდლად მო-			კუბანებისა მებრ გამოსატანი შემო-		
ბარებული	164,316	18	ლი სარგებელი	6,450	13
გასავალი ბანკისა:			ვადსა გარეთ მოსახზობილი გირავ-		
ჯამბირთა და მართველობისათვის	31,352	93	ნობის ფურცელნი	400	—
მოწილებისა და დადგენისათვის	2,627	36	სხვა და სხვა კრედიტორი	31,072	90
ტირასუში გამოსულ გირავნობის ფურცლებ-			ღვრების ფული	70	50
ში მიტეული	2,040	—	კომისისა და კურტაყი	48	75
მოსახზობლად შემოსულნი გირავნობის ფურ-			ბანკის აგენტი	104	10
ცელნი	400	—			
სხვა და სხვა დებიტორი	83,222	55			
გასასაში ნაღდი	1,728	19			
ვალა კრემო ზირსუდ	26,741	86			
ჯ ა მ ი	742,167	13	ჯ ა მ ი	742,167	13

Доволено цензурою. Тифлисъ, 12 Февраля 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.